საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

ქ. თბილისი 17 აგვისტო 2011 წელი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსათვის გადაცემული სანდრო ეულის ქ. #3-ში მდებარე შენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით, მინისტრის 14.07.2011 წლის N128 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი #2

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვის კონკურსი (კონკურსი #121)

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები:

გიორგი მაკასარაშვილი - მინისტრის მოადგილე (სხდომის თავმჯდომარე);

გიორგი არსოშვილი - მინისტრის მოადგილე;

ამირან ჯეგისაშვილი - ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი;

გიორგი გორაძე - სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;

ირაკლი ბაზერაშვილი - გენერალური ინსპექციის უფროსი;

კომისიის აპარატის შემადგენლობა:

დავით ენდელაძე - ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესყიდვების სამმართველოს მრჩეველი (სხდომის მდივანი).

სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია.

<u>დღის წესრიგი</u>

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ, 2011 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში 15 ივლისს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით გამოცხადებულ **კონკურსში №121** მონაწილის მიერ წარმოდგენილი შეთავაზებების განხილვა და საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

<u>განიხილეს:</u>

კომისიის წევრმა ა. ჯეგისაშვილმა კომისიის წევრებს მიაწოდა მოკლე ინფორმაცია კონკურსში მონაწილე პრეტენდენტის შესახებ. დადგენილ ვადაში 2011 წლის 17 აგვისტოს 15:00 საათამდე, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში საკონკურსო წინანადება წარმოადგინა მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა: შპს "ტექნიკური დიზინის სტუდია" (TDS) რომლის საკონკურსო წინადადების ღირებულება შეადგენს 75 000,00 ლარს (სამოცდათხუთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი) დღგ-ს ჩათვლით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დამსწრეებს და განუმარტა, რომ კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება #3-ის მე-3 მუხლის თანახმად საკონკურსო წინადადების განხილვასა და კონკურსის მეშვეობით მიმწოდებლის შერჩევაზე ვრცელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული დებულებები. მას შემდეგ რაც ცნობილი გახდება კონკურსში მონაწილეთა ვინაობა, კომისიის წევრები, აპარატის წევრები და შესყიდვების პროცედურებთან დაკავშირებული ნებისმიერი პირი ვალდებულია წერილობით დაადასტუროს, რომ ამ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

კომისიის წევრები და აპარატის წევრები ხელმოწერით დაეთანხმნენ ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ ხელწერილს.

<u>აზრი გამოთქვეს:</u>
კომისიის წევრმა ა. ჯეგისაშვილმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იქნება თუ კომისია ხელახლა შეიკრიბება უახლოესი 10 დღის განმავლობაში და განიხილავს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებას. კომისიის წევრები ერთხმად დაეთანხმნენ გ. არსოშვილის წინადადებას.

<u>კომისიამ დაადგინა</u>

- შეიკრიბოს საკონკურსო კომისია არაუგვიანეს 27.08.2011-სა, კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვისა და შეფასების მიზნით.

კომისიის წევრები:	გიორგი მაკასარიშვილი	----------
	გიორგი არსოშვილი	----------
	ამირან ჯეგისაშვილი	----------
	გიორგი გორაძე	----------
	ირაკლი ბაზერაშვილი	----------
კომისიის აპარატის წევრი:	დავით ენდელაძე	----------

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

ქ. თბილისი

17.08.2011 წელი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსათვის გადაცემული სანდრო ეულის ქ. #3-ში მდებარე შენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით, მინისტრის 14.07.2011 წლის N128 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის წევრებისა და აპარატის წევრების განაცხადი

ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვის კონკურსი
(კონკურსი #121)

ჩვენ, ქვემოორე ხელის მომწერი:

კომისიის წევრები:

გიორგი მაკასარაშვილი - მინისტრის მოადგილე (სხდომის თავმჯდომარე);
გიორგი არსოშვილი - მინისტრის მოადგილე;
ამირან ჯებისაშვილი - ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი;
ირაკლი ბაზერაშვილი -გენერალური ინსპექციის უფროსი;
გიორგი გორაძე - სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;

საკონკურსო კომისიის აპარატის შემადგენლობა:

დავით ენდელაძე - ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესყიდვების სამმართველოს მრჩეველი. (სხდომის მდივანი).

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლს "ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები" ვადასტურებთ, რომ საქართველოს სასჯელარსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ აღნიშნულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

კომისიის წევრები:

გიორგი მაკასარაშვილი ----------

გიორგი არსოშვილი ----------

ამირან ჯებისაშვილი ----------

ირაკლი ბაზერაშვილი ----------

გიორგი გორაძე ----------

კომისიის აპარატის წევრი: დავით ენდელაძე ----------